თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს

სხდომის ო ქ მ ი № 2

ქ.თელავი 24 აგვისტო 2020 წ.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი

ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს თავმჯდომარის მოადგილე: ვასილ არაბული;

ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები"-ს წევრი არჩილ თხლაშიძე;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლების მოსახლეობისთვის თხევადი აირის მიწოდების შესახებ;

   მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში ნაგვის ბუნკერების დამატების შესახებ;

   მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელების შესახებ;

   მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

4. გარე განათების ქსელის მოწყობა და სანათების დამატების შესახებ;

   მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში შიდა საუბნო გზის მოხრეშვის შესახებ;

   მომხს: ტიტე დარეჯანიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლების მოსახლეობისთვის თხევადი აირის მიწოდების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: არჩილ თხლაშიძემ აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში (თეთრწყლები, კობაძე, სეროდანი, პანტიანი, ნადიკვარი) არ ხდება ბუნებრივი აირის მიწოდება. საშეშე მერქნის დაზოგვისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით მოხდეს თხევადი აირის მიწოდება ადგილზე ტრანსპორტირებით 80 (ოთხმოც) კომლზე თვეში 8 (რვა) კგ. ოდენობით;

გადაწყვიტეს: ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას აღნიშნული ინიციატივის განხორციელება;

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში ნაგვის ბუნკერების დამატების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ვასილ არაბულმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში მოხდა შიდა საუბნო გზების მოასფალტება და ნაგვის შემკრებ სპეცტექნიკას შეუძლია გადაადგილება. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა ხუთი ერთეული ნაგვის ბუნკერის განთავსება;

გადაწყვიტეს: ეცნობოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას რათა შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებსა და სოფელ კურდღელაურში ნაგვის ბუნკერების დამატება;

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის, თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელება, ს.ს.ი.პ. საგანგებო სიტუაციების და კორდინაციის დაქვემდებარებულ დახმარების ცენტრს დაქვემდებარებულ ამბულატორიებზე;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებზე ინფორმაციის გავრცელება;

მოისმინეს: 4. გარე განათების ქსელის მოწყობა და სანათების დამატების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ვ. არაბულმა და ტ. დარეჯანიშვილმა აღნიშნეს რომ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კობაძეში ცენტრალური გზის მიმდებარედ დასამატებელია 12 (თორმეტი) ერთეული ბოძი და სანათი, სოფ. თეთრწყლებში დასამატებელია 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების ბოძი, სოფელ გულგულაში დასამატებელია 30 (ოცდაათი) ერთეული სანათი და 3 (სამი) საყრდენი ბოძი, აგრეთვე მინი სტადიონზე არსებული 5 (ხუთი) სანათის შეცვლა 80 ვტ. ლედ სანათით;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გარე განათების ქსელის მოწყობა და სანათების დამატება;

მოისმინეს: 5. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში შიდა საუბნო გზის მოხრეშვის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ვასილ არაბულმა აღნიშნა, რომ წმ. სამასი არაგველის სახელობის ეკლესიისა და საბავშვო ბაღის, სკოლის და სავაჭრო ობიექტის მიმდებარედ არსებული 200 (ორას) მეტრიანი გზის მონაკვეთი, რომლითაც სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები და პროდუქტის შესაძენად გამოსული მოსახლეობა, უამინდობის დროს შეუძლებელი ხდება აღნიშნულ მოონაკვეთზე გადაადგილება, ამიტომ აღნიშნული გზის მონაკვეთი საჭიროებს მოხრეშვას;

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრწყლებში შიდა საუბნო გზის მოხრეშვა;

ფრაქციის თავმჯდომარე: ტიტე დარეჯანიშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: ვასილ არაბული

ფრაქციის წევრი: არჩილ თხლაშიძე